სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. სასესხო ვალდებულებები ანგარიშგებაში წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდის შემოსავლის არსებითი ნაწილი მოიცავს მსხვილფეხა პირუტყვისგან მიღებული რძის რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს. ასევე საანგარიშო პერიოდში რეალიზებულ მსხვილფეხა პირუტყვის და ნახირის გადაფასებით მიღებულ შემოსავლებს. რძის რეალიზაცია ხორციელდება ყოველდღიურად და გაყიდვების არსებითი ნაწილი მოიცავს კომპანია „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“-ს რეალიზაციას. ნახირის აფასებით მიღებული შემოსავალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია საოპერაციო შემოსავლად. მენეჯმენტი ახორციელებს ნახირის შეფასებას ყოველი საანგარიშო თვის ბოლო და მისი საბაზრო ღირებულების ზრდას აღიარებს პერიოდის შემოსავლად.

ორგანიზაცია ფასს 41 კლასიფიცირებით მიღებულ შემოსავალს განსაზღვრავს იმ რეალიზებული პროდუქციის ღირებულებით, რომლის საბაზრო ფასიც დგინდება გაყიდვის დროს. ვინაიდან პერიოდის განმავლობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტის რეალიზება ხდება მისი მიღებისთანავე, შესაბამისად პერიოდის ამონაგები და ამ პროდუქტის რეალური ღირებულება ერთმანეთის ტოლია.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

2020ს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმის თავდაპირველი გამოყენების გავლენა ფასს 9-ში და ფასს 7-ში;
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა ფასს 16-ის შესწორებები; • საიჯარო გადასახადების ცვლილებების აღრიცხვაზე გავლენა, გათავისუფლების გამოყენებით;
- სხვა ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტების საწყისი გამოყენების გავლენა, რომლებიც ძალაშია მიმდინარე წლისთვის.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებების მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე. მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

- ფასს-ის სტანდარტებში კონცეპტუალურ ჩარჩოში მითითებების შეტანა;
- ფასს 3-ში შესწორებები ბიზნესის განმარტებაში;
- ბასს 1-ში და ბასს 8-ში შესწორებები მასალების განმარტებაში;

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები2;
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)4;
- ფასს 3 საწარმოთა გაერთიანება (შესწორებები) - საწარმოს განმარტება1;
- ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7 (შესწორებები) - საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა და მისი შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაზე1.
- ბასს 1 და ბასს 8 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორებები) - მასალის განმარტება1;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2010-2012 წწ. ციკლი - მიმდინარე და არამიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია3;

1. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

2. ძალაშია 2022 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

3. ძალაშია 2023 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

4. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს ყვარლის ზაგა
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 3 - ბიოლოგიური აქტივი და ძირითადი საშუალებები

	მიწა	მსხვილფეხა პირუტყვი	მრავალწლიანი ნარგავები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები
საწყისი ღირებულება									
ბალანსი 31/12/2018	2,782,536	7,544,881	52,520	-	13,773,766	2,660,376	15,756	1,471,168	344,788
დანამატები	241,483	101,853,633	158,996	313,460	298,899	296,010	24,815	96,694	18,330
აქტივების ჩამოწერა	(752)	(101,165,662)	(17,448)	(181,245)	(64,169)	-	-	(96,221)	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	-	-	(837,956)	(320,512)	(7,908)	(212,850)	(135,065)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	3,110	6,264	514	39,474	1,202
ბალანსი 31/12/2019	3,023,267	8,232,853	194,068	132,215	13,173,649	2,642,138	33,177	1,298,264	229,254
დანამატები	278,010	127,204,640	9,585	2,346,417	2,737,290	254,214	15,143	885,632	291,992
აქტივების ჩამოწერა	(265,654)	(123,542,660)	(27,764)	(1,616,938)	-	(250,975)	-	-	(6,478)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	-	-	(993,824)	(279,547)	(10,144)	(193,956)	(60,112)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა						144,555			2,940
ბალანსი 31/12/2020	3,035,623	11,894,832	175,889	861,694	14,917,115	2,510,385	38,176	1,989,939	457,597
ბალანსი 31/12/2019	3,023,267	8,232,853	194,068	132,215	13,173,649	2,642,138	33,177	1,298,264	229,254
ბალანსი 31/12/2020	3,035,623	11,894,832	175,889	861,694	14,917,115	2,510,385	38,176	1,989,939	457,597

*ორგანიზაციის ძირითადი საშუალებების პერიოდის ბოლოს დატვირთულია იპოთეკით სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ასევე მოიცავს შეზღუდული წვდომის აქტივს, რომელც საანგარიშო პერიოდში შესყიდულია მიღებული გრანტის საფუძველზე თანადაფინანსებით და შეზღუდულია მისი გასხვისება

შენიშვნა 4 - ბიოლოგიური აქტივი

საანგარიშგო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული მოკლევადიანი ბიოლოგიური აქტივები მოიცავს ბიოლოგიური აქტივის მისაღებად დაკაპიტალიზებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა სახნავ-სათეს მინდვრებზე არსებული ნათესები, ხელფასები და საწვავის დანახარჯები.

	31.12.2019	31.12.2020
აგროკულტურის ნარგავები	206,578	293,879
სულ ბიოლოგიური აქტივები	206,578	293,879

შენიშვნა 5 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშგო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს:

	31.12.2019	31.12.2020
მარცვლეული და ბალახი	422	1,963
სასუქი და შესაწამლი პრეპარატები	10,896	25,296
დეზინფექციის და დასუფთავების საშუალებები	16,675	20,045
მედიკამენტები	44,450	41,001
განაყოფიერების საშუალებები	6,000	8,807
ფერმის აქსესუარები	69,958	110,641
წარმოების ზედნადები ხარჯები	2,846,605	3,724,090
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	30,443	60,814
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,025,449	3,992,655

შენიშვნა 6 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	181,256	378,649
გადახდილი ავანსები	725,769	448,228
რეზერვები	(1,871)	(3,749)
სულ მიმდინარე მოთხოვნები	905,154	823,128

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

მოთხოვნები	სავაჭრო მოთხოვნები - ვადაგადაცილებული დღეები			
	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	374,900	1%	(3,749)	371,151
0-30 დღის ვადაგადაცილება	-	5%	-	-
30-60 დღის ვადაგადაცილება	-	10%	-	-
60-180 დღის ვადაგადაცილება	-	30%	-	-
180-360 დღის ვადაგადაცილება	-	50%	-	-
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	100%	-	-
შემცირებული გაუფასურების რეზერვით			(3,749)	
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	374,900			371,151

შპს ყვარლის ბაგა
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი
შენიშვნა 7 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე.

	31.12.2019	31.12.2020
ლარი საბანკო ანგარიშებზე	17,992	56,932
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	3,315	46,213
ნაღდი ფული სალაროში	19,858	2,646
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	19,858	2,646
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	41,165	105,790

შენიშვნა 8 - გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

პერიოდის ბოლოს ორგანიზაციის ბალანსზე არსებული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები მოიცავს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებებს საბანკო და საფინანსო ორგანიზაციების მიმართ:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადაიანობა	31.12.2019	31.12.2020
თიბისი ლიზინგი	აშშ დოლარი	11%	25.01.2024	560,316	589,596
სს საქართველოს ბანკი	ევრო			-	6,646,347
ხალიკ ბანკი	ევრო			-	15,690,680
VTB ბანკი	ევრო			-	1,213,053
ვითიბი ბანკი	აშშ დოლარი	12%	5.04.2024	1,121,921	-
თიბისი ლიზინგი	აშშ დოლარი	12%	25.01.2024	732,076	768,295
ჰალიკ ბანკ საქართველო	აშშ დოლარი	7%	03.10.2027	13,001,203	-
საქართველოს ბანკი	ევრო	7.5%	20.03.2026	8,883,437	9,621,435
საქართველოს ბანკი	ევრო	7.5%	31.07.2026	3,357,939	3,632,537
საქართველოს ბანკი	ევრო	7%	23.12.2026	694,215	2,362,970
საქართველოს ბანკი	ლარი			-	1,770,026
საქართველოს ბანკი	ლარი	4%	30.10.2024	104,992	104,980
სულ გრძელვადიანი სესხები				28,456,099	42,399,919

შენიშვნა 9 - გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი შედგება სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან გრანტის ფარგლებში შესყიდული ტექნიკის თანადაფინანსებით მიღებული შემოსავლებისგან, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია აქტივის გამოყენების ვადის პროპორციულად.

შენიშვნა 10 - სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2019	31.12.2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,671,901	1,539,097
გადასახდელი ხელფასები	11,471	61,330
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	-	-
მიღებული ავანსები	35,331	7,911
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,718,703	1,608,338

შენიშვნა 11 - მოკლევადიანი სესხები

	ვალუტა	31/12/2019	31.12.2020
შპს ბიზნეს ცენტრი ვაჟაშვი	ლარი	-	68,000
შპს DMS	ლარი	-	100,000
შპს ჭავჭავაძის 64ბ	ლარი	255,000	-
შპს ვიპ სერვისი	დოლარი	-	1,076,183
სულ მიმდინარე სესხებ		255,000	1,244,183

შენიშვნა 12 -შემოსავალი რეალიზაციიდან

ფასს41 გამოყენებით პერიოდის შემოსავალი მოიცავს ფერმის გადაფასებით მიღებულ შემოსავლებს, ბიოლოგიური აქტივისგან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის (რძის) ნეტო სარიალიზაციო ღირებულებით მიღებულ შემოსავლებს და პერიოდის ამონაგებს:

	31.12.2019	31.12.2020
ამონაგები	10,758,165	13,490,036
ფერმის გადაფასებით მიღებული შემოსავალი	2,333,454	5,554,240
სულ შემოსავალი	13,091,620	19,044,276

შენიშვნა 13 - საოპერაციო ხარჯები

პერიოდის საოპერაციო ხარჯები მოიცავს მსხვილფეხა პირუტყვის კვებაზე და მის მოვლა-პარტონობზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს

	31.12.2019	31.12.2020
ძროხების საკვები	4,222,420	7,200,986
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	935,757	974,037
სამივლინებო ხარჯები	32,494	2,486
კომუნალური ხარჯი	209,575	212,958
დაზღვევა	17,149	18,333
საწვავის ხარჯები	230,120	233,714
შეკეთების ხარჯი	-	339,973.59
რემონტის დანახარჯები	287,696	223,755
სხვა ხარჯი	578,996	139,833
სულ საოპერაციო ხარჯი	6,514,207	9,346,075

შენიშვნა 14 - ადმინისტრაციული ხარჯი

	31.12.2019	31.12.2020
საოფისე და საკანცელარიო ხარჯი	6,327	7,453
საკომუნიკაციო ხარჯი	14,517	12,800
მივლინების ხარჯი	4,042	355
საკონსულტაციო ხარჯები	107,971	23,622
სხვა საგადასახადო ხარჯი	167,702	178,653
საბანკო მომსახურების ხარჯი	10,003	9,767
წარმომადგენლობითი ხარჯი	19,619	-
სხვა საერთო ხარჯი	67,195	174,313
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	397,375	406,964

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანიამ დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცილების სტატუსის საფუძველზე, როგორც წარდგენილია შენიშვნა N6 -ში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად. ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. ლიკვიდურობის რისკები ორგანიზაციაში მაღალია, ვინაიდან პერიოდის ბოლოს კომპანიას გააჩნია დიდი რაოდენობით ვალდებულებები, რომელიც წარმოქმნილია სასესხო და კრედიტორული ვალდებულებებით.

	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტ	31 დეკემბერი 2020 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,608,338	-	-	-	-	1,608,338
ნასესხები სახსრები	-	-	9,103,429	1,462,871	40,937,048	51,503,348
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,608,338	-	9,103,429	1,462,871	40,937,048	53,111,686

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას. ასევე კომპანია მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. 2020 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის სავალუტო სახსრების არსებითი ვალდებულებები მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ სასესხო ვალდებულებებს და სავალუტო რისკები არსებით გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, ვინაიდან კომპანიას ეზრდება ვალდებულებები და მასთან ერთად იზრდება ლიკვიდურობის რისკებიც.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

31 დეკემბერი 2020			
	GEL	USD 1 = 3.2766 GEL	EUR 1 = 4.0233 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	59,573	747	45,471
სავაჭრო მოთხოვნები	374,900	-	-
გადახდილი ავანსები	388,541	16,873	42,814
სულ ფინანსური აქტივები	823,014	17,619	88,285
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,581,514	14,889	4,023
მიღებული ავანსები	7,911	-	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	168,000	-	1,076,183
გადასახდელი პროცენტები	113,194	58,174	82,002
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	1,875,008	1,357,891	39,167,023
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,745,627	1,430,955	40,329,232
სულ წმინდა პოზიცია	(2,922,613)	(1,413,335)	(40,240,947)
31 დეკემბერი 2019			
	GEL	USD 1 = 2.8677 GEL	EUR 1 = 3.2095 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	37,822	-	3,343
სავაჭრო მოთხოვნები	179,385	-	-
გადახდილი ავანსები	10,670	71,599	-
სულ ფინანსური აქტივები	227,876	71,599	3,343
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,667,459	459	3,210
მიღებული ავანსები	34,813	-	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	255,000	-	-
გადასახდელი პროცენტები	11,211	58,174	82,002
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	104,992	15,415,515	12,935,592
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,073,475	15,474,148	13,020,803
სულ წმინდა პოზიცია	(1,845,599)	(15,402,549)	(13,017,460)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ორგანიზაციის ვალდებულებების არსებითი ნაწილი წარმოქმნილია უცხოურ ვალუტაში. ქვეყნის ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებები არსებით გავლენას ახდენს საანგარიშო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე, რის გამოც სავალუტო რისკები მაღალია. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, მასზე მოქმედებს რისკი, რომელიც გაცვლითი კურსის მერყეობისას წარმოიქმნება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ორგანიზაციის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2020 31 დეკემბერი

	USD ზეგავლენა			EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL		EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%		20%	- 20%
მოგება/ზარალი			მოგება/ზარალი		
გადასახადებამდე:	(282,667)	282,667	გადასახადებამდე:	(8,048,189)	8,048,189

2019 31 დეკემბერი

	USD ზეგავლენა			EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL		EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%		20%	- 20%
მოგება/ზარალი			მოგება/ზარალი		
გადასახადებამდე:	(3,080,510)	3,080,510	გადასახადებამდე:	(2,603,492)	2,603,492

კაპიტალის რისკი

ორგანიზაცია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს წმინდა სესხების ფარდობა კაპიტალთან მოცემულია უარყოფითი ნიშნულით, ვინაიდან გამომუშავებული მოგება ვერ უზრუნველყოფს სასესხო ვალდებულებების სრულად დაფარვას.

საპროცენტო რისკი

ორგანიზაცია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. ანგარიშგების გამოცემის თარიღში არსებული დავებიდან მნიშვნელოვანია მომწოდებელი კომპანიის მიმართ შეტანილი სარჩელი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 4 700 323 ლარს, მაგრამ აღნიშნული მოთხოვნა არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია მოელის აღნიშნული პროცესის მოგებას, გადაწყვეტილების აღსრულებამდე აღნიშნული პირობითი მოთხოვნა არ არის წარდგენილი ანგარიშგებაში.

სასამართლო დავები (გაგრძელება)

სხვა აქტიური სასამართლო პროცესები მოიცავს დაკისრებულ ჯარიმებზე გასაჩივრებულ პროცესებს რომლის ღირებულებაც არ არის მნიშვნელოვანი და იმ შემთხვევაშიც კი თუ ორგანიზაციას მოუწევს აღნიშნული ვალდებულების გადახდა ის გავლენას არ იქონიებს წარმოდგენილ ანგარიშგებაზე.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

	შესყიდული მომსახურება	გადახდილი თანხა
შპს რედიქსი	53,768	53,184
შპს ყვარლის მარანი	6,627	6,627
შპს ჭავჭავაძის 64ა	664	664
	რეალიზაცია	მიღებული ანაზღაურება
შპს ალობილი	1,200	1,200
	აღებული სესხი	გადახდილი სესხი
შპს ჭავჭავაძის 64 ბ	-	255,000
შპს ახალი ყვარლის ბაგა	49,000	49,000
შპს ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე	175,000	107,000
შპს ალობილი	742,686	742,686

საანგარიშო პერიოდში მენეჯმენტის მიერ გამომუშავებული ხელფასის ხარჯი შეადგენს 14617 ლარს.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემსგომ პერიოდში მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც კვლავ გრძელდება პანდემიის პრევენციის მიზნებისათვის დაწესებული სხვადასხვა შეზღუდვების გამკაცრება. აღნიშნული გარემოება უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, განსაკუთრებით კი სავალუტო პოზიციებზე, რაც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციაზე. ვინაიდან აღნიშნული პროცესი არ არის დასრულებული ბალანსის შემდგომ ეტაპზე კომპანიის ყველაზე დიდ გაურკვევლობას წარმოადგენს პანდემიის გავლენები ბიზნეს და ქვეყნის ეკონომიკურ გარემოზე, რომლის წინასწარ პროგნოზირებაც შეუძლებელია.

მმართველობის ანგარიშგება

დოკუმენტში ასახულია კომპანიის ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტებით. აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი და სტანდარტები.

ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო იყოს კომპანიის საქმიანობის სპექტრი. კომპანიის რესურსები ორიენტირებულია ახალი ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობაზე და კონტროლზე.

კომპანიას აქვს ჩამოყალიბებული მისია - რომელიც გაჯერებულია მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით და აქვს პრეტენზია, რომ საქართველოში არის პირველი საწარმო, როგორც სიდიდით, ასევე საქმიანობისადმი დამოკიდებულებით, რომელიც ნერგავს იმ სფეროში, რომელშიც ვმუშაობთ, საერთაშორისო დონის სტანდარტებს.

კომპანია შეიქმნა 17/03/2010

ოპერირება დაიწყო 2013 წლის დეკემბერში

- შპს ყვარლის ბაგა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად.
- კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართია ქ. ყვარელი ჭავჭავაძის 13
- საიდენტიფიკაციო ნომერია: 441554051
- კომპანიის დამფუძნებელია - ლაშა პაპაშვილი 3/ნ 01008006654 – 100%-ანი წილის მფლობელი

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს ყვარლის ბაგა არის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ერთ ერთი პიონერი ფერმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში

კომპანია მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ყვარლის რაიონში, სადაც განლაგებულია მისი ფერმა და ძირითადი აქტივობები ხორციელდება აღნიშნულ ტერიტორიაზე. კომპანია ფლობს ასევე სახნავ-სათეს ტერიტორიებს აღმოსავლეთ საქართველოში, რომლის დამუშავებასაც ახორციელებს საკუთარი რესურსით და მიღებულ პროდუქტებს იყენებს მსხვილფეხა პირუტყვის საკვებ პროდუქტად.

განვითარების მიმოხილვა

კომპანიას 2018 წელს დაწერა სპეციალური ნახირის მართვის სისტემა, რომელიც ასევე ონლაინ რეჟიმში უცხოელი კონსულტანტების მეთვლეყურობის ქვეშ უზრუნველყოფს წველადობის და ძროხების ჯანმრთელობის მონაცემების ამოღებას.

კომპანიამ არ შეაჩერა განვითარება და 2019-2020 წლებშიც საკმაოდ მოცულობითი ინვესტიციები განახორციელა. კომპანიაში წლიდან წლამდე ხდება ეფექტიანი რეინვესტირება ახალ ტექნოლოგიებსა და საწარმოო საშუალებებში საშუალებას გვაძლევს, გავხდეთ ეფექტურები ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმადობის ზრდის ნაწილში.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ძირითადი ღონისძიებები

აღნიშნული მიმართულებით ორგანიზაციის ძირითად ინტერესს წარმოადგენს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის კვლევა და მსოფლიოში არსებული ტენდენციების და ტექნოლოგიების ანალიზი. ვინაიდან ამიერკავკასიაში ორგანიზაციას თავისივე მაშტაბის კონკურენტი არ ჰყავს, მუდმივად ხორციელდება საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ტექნოლოგიური ანალიზი და თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება. რაც შემდგომში ხელს უწყობს წველადობის ზრდას და ფერმის განვითარებას, რაც ასევე გამოსახულია პროცესში არსებული დანახარჯების შემცირებას, პროდუქციის ხარისხის ზრდაში და სხვა მასთან დაკავშირებულ პროცესებში.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ქვეყანაში ინდუსტრიული რძის წამოება-განვითარება საწყის ეტაპზეა, რძის პროდუქტების მწარმოებლებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები რძის შესყიდვისას არის:

- მაღალი ცხიმისა და პროტეინების შემცველი პროდუქტი
- სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებთან შესაბამისობა

კომპანიის ფერმაში წარმოებული რძე გამოირჩევა მაღალი ხარისხით და შეესაბამება მწარმოებლის ყველა მოთხოვნებს. კომპანიაში დაცულია Hasp-ის სტანდარტები.

საქსტატის მონაცემებით საქართველოში ნედლი რძის წარმოებაში უმეტეს წილს შინამეურნეობები იკავებენ. ამავე მონაცემებით საქართველოში ფურის სულადობა წლიდან წლამდე ეცემა. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ადგილობრივ წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი 2%-ზე დაბალი გახლდა. ყვარლის ბაგას წარმოებული რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილში 40%-ია. ამ პირობებში, როცა მწარმოებლებისათვის მნიშვნელოვანია სტაბილური რძის მიწოდება სეზონის ნებისმიერ დროს, ყვარლის ბაგას მენეჯმენტის ხედვაა, რომ ყოველწლიურად გაზარდოს როგორც სულადობა,

ყვარლის ბაგა ყოველწლიურად არა მხოლოდ ზრდის ნახირის რაოდენობას არამედ ზრუნავს, რომ მხოლოდ ჯანმრთელი ძროხით იყოს შევსებული ნახირი, ისეთი, რომელიც ჯანმრთელ შთამომავლობას მისცემს კომპანიას, ამავე დროს წველადობის მაჩვენებლით იქნება მაღალწარმადობის. ყვარლის ბაგას ძროხების წველადობა მაჩვენებლებით უტოლდება ევროპის მოწინავე ქვეყნების ჰოლშტეინების ძროხების წველადობას.

საქსტატის მონაცემებით გაზრდილია რძის ფასი, რისი საფუძველიც არის

1. რძის ფხვნილის გაძვირება მსოფლიო ბაზარზე;
2. ადგილობრივ ბაზარზე ნედლი რძის წარმოების შემცირება

ნედლი რძის ფასის გაზრდა მნიშვნელოვანია ორგანიზაციის შემოსავლებისათვის.

ამავე დროს ხდება გაყიდვების დივერსიფიცირება სხვადასხვა შემსყიდველ კომპანიაზე, თუ წინა წლებში ბაზარზე იყო 1 კომპანია, რომელიც იყო ჩვენი პარტნიორი დღეს კომპანია რძით ამარაგებს ისეთ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში მთავარი რძის გადამამუშავებელი კომპანიები არიან.

დამატებითი განმარტებები

ყვარლის ბაგას რეპუტაცია ბაზარზე მაღალია, რადგან ფერმის მიერ ნაწარმოები რძე გამოირჩევა მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით. კომპანიას შეუძლია უზრუნველყოს რძის მიწოდება სეზონის ნებისმიერ დროს, რაც მის მაღალ რეპუტაციასა და სიძლიერეს განაპირობებს;

ბაგას მომხმარებლები არიან საქართველოში ყველაზე მაღალი წარმადობის და რეპუტაციის მქონე რძის მწარმოებელი წამყვანი კომპანიები;

შპს ყვარლის ბაგა პასუხისმგებლობით ეკიდება გარემოსდაცვით ვალდებულებებს, უცხოელი კონსულტანტების დახმარებით დანერგილი გვაქვს გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის სისტემა. გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს და ყოველწლიურად წარადგენს ტექნიკურ ანგარიშს.

კომპანიას დასაქმებული ჰყავს რეგიონში 65 თანამშრომელი - დანერგილი აქვს ოპერირების ინსტრუქციები, ნებისმიერი სამსახურისთვის ცალკეულად განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობები. სტრუქტურა დაყოფილია დეპარტამენტებად - დეპარტამენტები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

დანერგილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს.

თანამშრომლებისათვის შექმნილია შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს ყვარლის ბაგაში კარგად არის გათავისებული სოციალური პასუხისმგებლობები დასაქმებული თანამშრომლების მიმართ. კომპანიაში დანერგილია ხარმანსაწინააღმდეგო სისტემა, თანამშრომლებს ჩატარებული აქვთ შესაბამისი ინსტრუქციები/ტრენინგები, თუ როგორ უნდა იმოქმედონ კრიზისულ სიტუაციებში.

რისკები და გაურკვევლობები

ყვარლის ბაგას ძირითადი რისკები და გამოწვევები დაკავშირებულია სავალუტო რისკებთან, რადგან გარდა ადგილობრივი საკვები მასალისა, საკვები დანამატების ძირითად ნაწილს წარმოადგენს იმპორტი ევროპული ქვეყნებიდან. შესაბამისად, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ნაწილი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროს კურსის დინამიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ნედლი რძე პირდაპირ არ არის დამოკიდებული სავალუტო რისკებზე, ამ შემთხვევაში, გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში ნედლი რძის ბაზრის მკაცრი რეგულაციის არარსებობა, რადგან ნედლი რძე ძირითადად იწარმოება/გადამუშავდება მცირე მეწარმეების მიერ, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ეს, საბოლოო ჯამში, არასამართლიან კონკურენტულ გარემოს ქმნის ორგანიზებული ინდუსტრიისათვის.

Covid19-ის პანდემიის გავრცელების გავლენა კომპანიის ოპერაციებზე:

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში ეპიდემიის გავრცელებამ გამოიწვია ეროვნული ვალუტის გაუფასურება, რამაც გამოიწვია შესაძენი საქონლის თუ ტექნიკის ღირებულების გაზრდა. ამიტომ საჭირო არის ამ სიტუაციაში სამოქმედო გეგმის შემუშავება. კომპანიამ უფრო აქტიურად დაიწყო საკუთარი მოსავლის მოყვანა, თუმცა არის საკვები რაციონი, რომლის ჩანაცვლებაც ადგილობრივი წარმოებით ვერ ხერხდება, ამიტომ კომპანიას უწევს საკვები საქონლის შემოტანა. და პანდემიამდე განსაზღვრული ზრდის მაჩვენებლების შედარება რეალურ მაჩვენებლებთან და არსებული გადახრების საერთო ანალიზი. პანდემიის დროს დაწესებულ შეზღუდვებს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ყოველდღიურ ოპერაციებზე, ვინაიდან კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქციის რეალიზაცია და სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე გაყიდვები ხორციელდებოდა უწყვეტ რეჟიმში.

დირექტორი
ნათია გარგულია

რისკები და გაურკვევლობები

ყვარლის ბაგას ძირითადი რისკები და გამოწვევები დაკავშირებულია სავალუტო რისკებთან, რადგან გარდა ადგილობრივი საკვები მასალისა, საკვები დანამატების ძირითად ნაწილს წარმოადგენს იმპორტი ევროპული ქვეყნებიდან. შესაბამისად, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ნაწილი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროს კურსის დინამიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ნედლი რძე პირდაპირ არ არის დამოკიდებული სავალუტო რისკებზე, ამ შემთხვევაში, გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში ნედლი რძის ბაზრის მკაცრი რეგულაციის არარსებობა, რადგან ნედლი რძე ძირითადად იწარმოება/გადამუშავდება მცირე მეწარმეების მიერ, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ეს, საბოლოო ჯამში, არასამართლიან კონკურენტულ გარემოს ქმნის ორგანიზებული ინდუსტრიისათვის.

Covid19-ის პანდემიის გავრცელების გავლენა კომპანიის ოპერაციებზე:

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში ეპიდემიის გავრცელებამ გამოიწვია ეროვნული ვალუტის გაუფასურება, რამაც გამოიწვია შესაძენი საქონლის თუ ტექნიკის ღირებულების გაზრდა. ამიტომ საჭირო არის ამ სიტუაციაში სამოქმედო გეგმის შემუშავება. კომპანიამ უფრო აქტიურად დაიწყო საკუთარი მოსავლის მოყვანა, თუმცა არის საკვები რაციონი, რომლის ჩანაცვლებაც ადგილობრივი წარმოებულით ვერ ხერხდება, ამიტომ კომპანიას უწევს საკვები საქონლის შემოტანა. და პანდემიამდე განსაზღვრული ზრდის მაჩვენებლების შედარება რეალურ მაჩვენებლებთან და არსებული გადახრების საერთო ანალიზი. პანდემიის დროს დაწესებულ შეზღუდვებს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ყოველდღიურ ოპერაციებზე, ვინაიდან კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქციის რეალიზაცია და სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე გაყიდვები ხორციელდებოდა უწყვეტ რეჟიმში.

დირექტორი
ნათია გარგულია